პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 აპრილი სამშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 91 (15001)

საბჭოთა კავშირის შრომელებო! მთელი ძალღონე მოახმარეთ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას!

წინ, ახალი ნარმატებებისაკენ კომუნისტურ შეენებლობაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკირველმაისო შოლოდებებიდან.

დელეგატი დაბრუნდა მეურნეობაში

გულთბილად შეხვდნენ თანამშრომლები სკკპ XXIV ყრილობის დელეგატს, გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის მეგობრეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას მარიჯან ქავთარაძეს, რომელმაც პირობა დადო მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარ ნაკვეთზე მოიყვანოს 40 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ტონისა.

■ ■ ■

სურათებზე: მარცხნივ — მ. ქავთარაძეს მიესალმებიან საბჭოთა მეურნეობის მუშები. ზემოთ — მეგობრეებს მ. ქავთარაძეს, ნ. და მ. აფციაურებს კომბოსტოს ჩითილი გადაეცვ გრუნტში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

პირველი მაისის შესახვედრად

ПРАВДА

19 აპრილის მოწინავე

ორ კვირაზე ნაკლები დარჩა პირველ მაისამდე — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღემდე. როგორც ყოველთვის, სახელოვანი საგაზაფხულო დღესასწაულის წინ საბჭოეთის მოწინააღმდეგ, მთელ პლანეტაზე გაისმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებანი. ჩვენი ხალხისა და მსოფლიოს ყველა ხალხისადმი მიმართული ეს მოწოდებანი ახალ ძალღონეს, ენერგიასა და შთაგონებას უნერგავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით დარაზმულ მებრძოლ ნობით რევოლუციურ მებრძოლს.

საბჭოთა ადამიანებისათვის წლეულანდელი პირველი მაისი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია — ჩვენ ამ დღეს ვიზეიმებთ მალე პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ, რომელმაც შეიმუშავა სწორი პოლიტიკური ხაზი, პოლიტიკური პროგრამა მომავალი პერიოდისათვის, ყრილობამ მკაფიოდ ცხადყო იმ საქმეების მსოფლიო მნიშვნელობა, რომელთაც ახორციელებენ ჩვენი პარტია და ხალხი, მსოფლიო რევოლუციურ პროცესში იმ წვლილის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ შეგვქონდა, შეგვაქვს და კვლავაც შევიტანთ ჩვენი მიღწევებით კომუნიზმის მშენებლობაში. სწორედ ამიტომ თვითეული საბჭოთა ადამიანის გულში მხურვალე გამოხმაურებას პოულობს ლენინური პარტიის საბრძოლო მოწოდების სიტყვები:

—საბჭოთა კავშირის შრომელებო! მთელი ძალღონე მოახმარეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას!

მხოლოდ მთელი ხალხის თავდადებული შრომით შეიძლება უზრუნველყოთ ყრილობის მიერ დასახული მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდა ჩვენი ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე, მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი კომუნისტურ მშენებლობაში. და საბჭოთა ადამიანები, საქმით რომ უპასუხებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია ისწრაფვიან ამრავლონ თავიანთი წვლილი ხუთწლედის შეცრულებისათვის. ხაშმობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამას ნათლად მოწმობს სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობაც, რომელიც 17 აპრილს გაიმართა როგორც შემოქმედებითი შრომის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

პირველი მაისის წინ პარტია საბჭოთა ადამიანების თვითეულ რაზმს მიმართავს გულთბილი მისალოცი სიტყვით. მრეწველობის მუშაკთა ვაჟია დაუცხრომლად აამაღლონ წარმოების ტექნიკური დონე და ეფექტიანობა, გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება და განაახლონ მისი ასორტიმენტი, გაუუმჯობესონ ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება. მშენებლები მოწოდებული არიან დაჩქარონ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საერთო ხაზრუნვაი ის არის, რომ განამტკიცონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უფრო აქტიურად განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამა — მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ელექტრიფიკაციისა და კომპლექსური მექანიზაციის. მიწეწების ქიმიზაციისა და მელიორაციის პროგრამა. სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან ქვეყანა მოელის უფრო მეტ მარცვლეულს, ხორცს, რძეს, ბამბასა და სხვა მაღალხარისხოვან პროდუქტებს.

სახალხო მეურნეობის მასშტაბების, ჩვენი შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების უდიდესი ზრდა სახავს გადაუდებელ ამოცანას — მნიშვნელოვნად აკამაღლოთ მთელი სამეურნეო მუშაობის დონე. გავადიდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა. პარტია მოუწოდებს მშრომელებს განუხრელად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, განახორციელონ წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დაეუფლონ ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას. საჭიროა სახელმწიფო გეგმები შეავსრულოთ უმცირესი შრომითი და მატერიალური დანახარჯებით, მკაცრად დავიცვათ მომჭიერნობის რეჟიმი, უფრო სრულად გამოვიყენოთ შიდასამეურნეო რეზერვები. ამას ხელს შეუწყობს ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა, სამუშაო დროის თვითეული წუთის ნაყოფიერად გამოყენება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ინტერესებისათვის უნდა განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, უფრო სწრაფად მივაწოდოთ სახალხო მეურნეობას მისი უახლესი მიღწევები.

პარტიის სიტყვა მიმართულია აგრეთვე მოსახურების სფეროს მუშაკებისადმი, კულტურის მოღვაწეებისადმი. კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისადმი, საბჭოთა ქალებისადმი, ჩვენი სახელოვანი მეომრებისადმი — სამშობლოს მამაცი დამცველებისადმი. და ყოველ მათგანს იგი მიჩნია მოქმედების სახელმძღვანელოდ. XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები არიან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მათ იყონ მახვილის აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები, უჩვენონ მაგალითი შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საბჭოთა ხალხი დარსეულად ასრულებს თავის ინტერნაციონალურ ვალს. ჩვენი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში ხელს უწყობენ სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის დიად საქმეს. მიესალმება რა პირველი მაისის წინ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მშრომელებს, თავის კლასობრივ და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის თანამონაწილე ძმებს, ლენინური პარტია აცხადებს: დაე მტკიცდებოდეს და ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევდეს რევოლუციური ძალების — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლთა — მძლავრი კავშირი!

ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმის განმტკიცების კონსტრუქციულმა პროგრამამ, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ წამოაყენა, უაღრესად დიდი გამოხმაურება ჰპოვა ყველა კონტინენტზე. ამ კეთილშობილური საქმის ერთგული საბჭოთა ადამიანები მშობლიურ პარტიასთან ერთად მგზნებარედ მიესალმებიან ვიეტნამის გმირ პატრიოტებს, ლაოსისა და კამბოჯის მამაც მებრძოლებს, რომლებიც უშიშრად უმკლავდებიან ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიას, და გადაჭრით აცხადებენ: ხელები შორს ინდოჩინეთისაგან! ჩვენი ხალხი გამარჯვებულ ნამტკიცებს სოლიდარობას არაბ ხალხთა სამართლიანი ბრძოლისადმი, მოითხოვს შეწყდეს ისრაელის აგრესია ახლო აღმოსავლეთში და ისრაელმა გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. სსრ კავშირი აქტიურად მოითხოვს ევროპის გადაჭიკვეთას მტკიცე მშვიდობისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის კონტინენტად, იბრძვის საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ბურჯი — საბჭოების ქვეყანა 1971 წლის პირველ მაისს ეგებება მძლავრი ძალ-ღონით აღსავსე, ეკონომიური და სოციალური განვითარების ახალი მიჯნებისაკენ მიმავალი. ჩვენ ვიცით, რომ მივაღწევთ ყოველივე ამას, რასაც ვეძებრაფვით, წარმატებით გადავჭრით ამოცანებს, რომლებიც დაგისახეთ. ამის საწინდარი იყო, არის და იქნება საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერგია, მისი თავდადება, მისი შეკავშირება მშობლიური პარტიის გარშემო, პარტიისა და ხალხის დიდი ურღვევი ერთიანობა.

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა მეურნეობის მუშებთან

უნგენი. (მოლდავეთის სსრ), 18 აპრილი. (საქდესის კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** და რომელშიც შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვ. შჩერბიცკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **კ. ვ. რუსაკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი სკკპ ნოვგოროდის სოლოქი კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ნ. ბაზოვსკი** მიემგზავრება სოფიაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე. სოფიაში მიმავალი დელეგაცია შეჩერდა სასაზღვრო სადგურ უნგენში, სადაც მოლდავეთის კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობამ მიიწვია დღეს საბჭოთა მეურნეობა „პრუტის“ დასათვალიერებლად. დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს უნიკალური ბალმეტის ბაღი, რომლის ფართობი ათას ჰექტარს აღემატება.

ლ. ი. ბრეჟნევი და დელეგაციის წევრები გაეცნენ საგაზაფხულო სამუშაოებს, ბაღის განვითარების პერსპექტივებს. ამხანაგი ბრეჟნევი შეხვდა მუშებს, გამოჰკითხა ცხოვრების, შრომის პირობები. ისინი ესაუბრნენ თავიანთი მეურნეობის შესახებ და უთხრეს, რომ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, უამბეს, თუ როგორ იბრძვიან ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

შემდეგ **ლ. ი. ბრეჟნევი** შეხვდა მოლდავეთის კომპარტიის რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს და ესაუბრა მათ. საუბარში მონაწილეობდნენ მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ი. ბოდიუული,** მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. თ. ილიაშენკო,** მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ა. პასკარი** და მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხვა წევრები.

ქმხანაგური შეხვედრა

ბუქარესტი, 19 აპრილი. (საქდესი). გუშინ კიტილას სადგურზე (ბუქარესტი) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელიც მიემგზავრება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე, შეხვდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ბ. ნიკულესკუ-მიზილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხანაგ ბ. ნიკულესკუ-მიზილს შორის გაიმართა მოკლე ამხანაგური საუბარი.

სოფიაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

სოფია, 19 აპრილი. (საქდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ბულგარეთის კომპარტიის X ყრილობაზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ცენტრალურ ვოგზალზე დელეგაციას შეხვდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბიორბა ტრაიკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

დელეგაციისათვის მიჩენილ რეზიდენციაში მიმავალ საბჭოთა სტუმრებს აღფრთოვანებით მისალმებოდა სოფიის ათიათასი მოქალაქე.

მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის პრემიერ-მინისტრი ა. პარიალაინენი

19 აპრილს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით, როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი, ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **ა ა ტ ი კ ა რ ი ა ლ ა ი ნ ე ნ ი ნ ი.**

ფინეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მეგობარი ქვეყნის მთავრობის მეთაურს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი** და სხვა ოფიციალური პირები.

რეზიდენციამდე პრემიერ-მინისტრის მსვლელობის გზაზე ქუჩები და მოედნები მორთული იყო ორი მეგობარი ქვეყნის ალმებით, მისასლმელები — ტრანსპარანტებით საბჭოთა კავშირ-ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის, სსრ კავშირსა და ფინეთის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის აღსანიშნავად, რომლებიც სულ უფრო მტკიცდება და ეთარდება. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება

19 აპრილს კრემლში გაიმართა მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინსა** და ფინეთის პრემიერ-მინისტრს **ა ტ ი კ ა რ ი ა ლ ა ი ნ ე ნ ს** შორის, რომელიც მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა საფუძვლიანი ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების, ორ ქვეყნას შორის ეკონომიური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე. აგრეთვე ურთიერთსაინტერესო დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. (საქდესი).

მოგილოცავთ, მეგობრებო!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის რესპუბლიკური გაზეთის „აფსნი უაფშ�sაფსნი“ („წითელი აფხაზეთი“) „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად მათი მობილიზაციის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის რესპუბლიკური გაზეთი „აფსნი უაფშინ“ („წითელი აფხაზეთი“) დაჯილდოდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წ. 19 აპრილი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებები მნიშვნელოვნენილად იმის შედეგია, რომ აქტიურად შრომობს რეალურ ტექნიკას დაუფლებული მექანიზატორთა მრავალრიცხოვანი არმია. მექანიზატორი ცენტრალური ფიგურა გახდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საკოოპერატიულ-კოლმეურნეობის და სსრ კავშირის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოები, წყალთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და სოფლტექნიკის საწარმოები უზრუნველყოფილი იყონ მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრებით; აამაღლონ მათი შრომის ორგანიზაციის დონე; უაბლოეს ორ წელიწადში შემოიღონ გამომუშავების (მომსახურების) ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები; ზუსტად დაიცვან მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ, აგრეთვე გაუმჯობესონ მათი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების სკოლამდელ ბავშვთა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, საველე ბანაკების, სასადილოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის დაჩქარებას.

ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის დაწესებულია ახალი, გადიდებული სატარიფო განაკვეთები. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ შეიმუშაონ და დაამტკიცონ მექანიზებულ სამუშაოთა ტარიფიკაცია, ამასთან ძმედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა დაიწესონ უფრო მაღალი თანრიგები მძლავრი მუშლუსა ტრაქტორებით შესრულებული სამუშაოებისათვის. ტრაქტორისტ-მემანქანეთათვის ახალი სატარიფო განაკვეთების შემოღება განხორციელდება 1971-1972 წლებში.

საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების, წყალთა მეურნეობისა და სოფლტექნიკის საწარმოების ტრაქტორისტ-მემანქანეთათვის (მათ შორის იმათთვის, ვინც მუშაობს სატრაქტორო, სატრაქტორო-მემინდვრეობისა და კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირებად და ბრიგადირების თანაშემწეებად, ოსტატ-გამწყობად) დაწესებულია დამატებითი ყოველწლიური ხელფასიანი შვებულებანი მოცემულ მეურნეობაში უწყვეტი მუშაობის სტაჟის შესაბამისად:

ქვეყნის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ადგილებში, ყაზახეთის, ურალისა და ვოლგისპირეთის უამრავ რაიონებში 3 წელზე მეტი ხნის მუშაობის უწყვეტი სტაჟის დროს, — ორორი დღე ყოველი მომდევნო წლისათვის, მაგრამ არაუმეტეს 6 სამუშაო დღისა;

დანარჩენ რაიონებში 3 წელზე მეტი ხნის მუშაობის უწყვეტი სტაჟის დროს — თითო სამუშაო დღე ყოველი მომდევნო წლისათვის, მაგრამ არაუმეტეს 6 სამუშაო დღისა;

დამატებითი შვებულება მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს დღეები მოსკოვში



ძმური, გულითადი შეხვედრა

საქართველოს წარმომადგენლები მოსკოვში ჩავიდნენ

მოსკოვი, 18 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დედაქალაქში ნათელი, მზიანი დღე იდგა, როცა ჩამოვიდა მოსკოვში საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს დღეებში მონაწილეობისათვის.

სადღესასწაულოდ მორთულია ვნუკოვოს აეროდრომი. ალისფერ ტრანსპარანტებზე წარწერილია: „კეთილი იყოს, ძვირფასო ქართველო მეგობრებო, თქვენი მობრძანება, გმირ ქალაქ მოსკოვში!“, „ჟღუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „დაე მუდამ ცოცხლობდეს და იფურჩქნებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის დიადი მონაპოვარი!“.

სტუმრებს შეხვდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი რ. დემენტიევმა, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. მელნიჩენკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე მ. ბუსარსკი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ვარჩენკო, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ნ. სინოვი, სკკპ ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკის რაიკომის პირველი მდივანი მ. აბლეტინი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბაბუშკინის რაიკომის პირველი მდივანი ა. კისტენკი, ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკისა და ბაბუშკინის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ნ. ბოლარევი, ა. ბაზავლუკი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები ი. ფიშუკინი, ზ. ვასლენი, მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

შემხვედრთა შორის იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ი. არუთინოვი, რომელიც შედის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში, მუდმივი წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საჰაერო ლაინერი უახლოვდება აეროვაგზლის შენობას. ეღერს საზეიმო მარშის მელოდია, რომელსაც გაერთიანებული სასულე ორკესტრი ასრულებს. შეკრებილნი გულთბილად მიესალმებიან საქართველოს დელეგაციის წევრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბ. ძოწენიძის მეთაურობით. შეკრებილნი სტუმრებს მაგრად ართმევენ ხელს, მეგობრულად ეხვევიან, ქალიშვილებმა, მოსკოველმა პიონერებმა სტუმრებს წითელი მიხაკები მიართვეს.

მოსკოვი. 1971 წლის 18 აპრილი. საქართველოს სსრ დელეგაცია ვნუკოვოს აეროდრომზე.

ფოტო ი. დვალისა და ბ. კიკვაძისა. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით)

საქართველოს დღეები მოსკოვში

საუბარი სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში

მოსკოვი, 19 აპრილი. (საკ-დისის სპეც. კორ.). მოსკოვში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით მყოფი რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია 19 აპრილს მიიღეს პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში.

მოსკოველთა სახელით მოძმე ხალხის წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. პეტროვსკი. მან გულითადად მიულოცა სტუმრებს დიდი, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის საერთო დღესასწაული — საქართველოს სს რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავი.

ბ. გრიშინმა სტუმრებს მოუთხრო, თუ რა უდიდესი ენთუზიაზმით შრომობენ მოსკოველები კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ასრულებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. დელეგაციის მშრომელებმა პარტიის მითითებად აღიქვეს ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები „გადააქციოთ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად“. მოსკოველები, თქვა ბ. გრიშინმა, პარტიის ყრილობით გამოწვეული დიდი შთაგონებით შეშაობდნენ შაბათობაზე 17 აპრილს, რომელიც მეიძახეს ყრილობასა და ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს.

მოსკოვის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გეგმები დამსწრეთ გააცნო მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. პროზოროვმა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ქოფუნიძემ მადლობა გადაიხადა გულთბილი, გულითადი მიღებისათვის. მან ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებითაც საქართველო ეგებება სახელოვან იუბილეს, საბჭოთა ხალხების მზარდ ძმურ მეგობრობაზე, დიდ შრომითს აღმავლობაზე რესპუბლიკაში, რომელიც ახორციელებს პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობებს.

ხაუბარში მონაწილეობდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ლ. ბრეკოვი, ლ. ბორისოვი, რ. დემენტიევა, ა. კალაშნიკოვი, ვ. იგოროვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ი. ართმელაძე.

მოსკოვი. 1971 წლის 19 აპრილი. სურათზე: მიღება სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში.

ფოტო ი. დვალის და ზ. კიკვაძისა. (სურათი მიღებულია საქდისის ფოტოტელეგრაფით).

ეკრანზე ქართული ფილმები

მოსკოვი. 18 აპრილი. (საქ-დისის სპეც. კორ.). დედაქალაქის უდიდესი კინოთეატრების „როსიის“, „თბილისი“, „კოსმოსის“, „არჭიკის“ შენობათა ფასადებიდან პოპულარული ქართველი მსახიობების, „ქართული ფილმის“ სტუდიის მიერ შექმნილ სურათებში მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობების ნაცნობი სახეები გვიყურებენ. დაიწყო ქართული კინოხელოვნების ნაწარმოებთა ფესტივალი, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ეძღვნება.

საქართველოს დღეების განმავლობაში მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები ნახავენ სრულმეტრაჟიან ქართულ ფილმებს „ჯარისკაცის მამა“, „დიოსტატის მარჯვენას“, „ეთიოგი საკაძეს“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „შეხვედრას წარსულთან“, „ხეივანული ბალადა“, „მე ვხედავ მზეს“ და სხვა ფილმებს.

ეკრანებზე ავრეთვე უჩვენებენ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ სურათებს „ქორწილს“, „ქოლგას“, „მუსიკოსებს“, „მიხას“, „ალავერდობას“.

კინოთეატრ „როსიის“ მცირე დარბაზი დათმობილი აქვს სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტურ ფილმებს. აქ უჩვენებენ სურათებს „საქართველო, ლეგენდა და სინამდვილე“, რომელიც შექმნა შემოქმედებითმა კოლექტივმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ასათიანის ხელმძღვანელობით; „იეწვევთ საქართველო“, „უხილავ სხივთა დამჭერნი“, „აკადემიკოსი მუსხელიშვილი“ და სხვ. მაყურებლები გაეცნობიან მულტიპლიკაციური ფილმების კრებულსაც.

— ჩვენს კინომოღვაწეებს ახარებთ მოსკოველებთან შეხვედრა, უთხრა საქდისის სპეციალურ კორესპონდენტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ბეშვაიამ. ფესტივალის პირველი დღის წარმატება მოწმობს ცხოველ ინტერესს, რასაც მაყურებლები იჩენენ ქართული კინოს ოსტატების ხელოვნებისადმი.

50 წელი ლენინური გზით

პრეს-კონფერენცია ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში

□

მოსკოვი, 19 აპრილი. (საკ-დისის სპეც. კორ.). ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში დღეს გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

დარბაზში შეიკრიბნენ ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, საგაზეთო, ახალი ამბების სააგენტოს, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები, რესპუბლიკური გაზეთების მოსკოველი კორესპონდენტები. პრეს-კონფერენციას ესწრებოდნენ მოსკოვში აკრედიტებული სოციალისტური ქვეყნების საელჩოთა პრეს-ატაშეები, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დანიის, იაპონიის კორესპონდენტები.

პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბურკოვი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ბ. ჩერნიშოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის მოადგილე შ. სიმონოვი.

პრეს-კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენელმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ი. ართმელაძემ. მან აღნიშნა, რომ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებთან ამ შეხვედრის მიზანია გავაცნოთ ქართველი ხალხის საქმენი, ნახევარ საუკუნის გზები, რომლებითაც ეგებებოდა იგი დღევანდელ დღეს, ეროვნული ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების აყვავება, მრავალფეროვანი ცვლილებები, რომლებიც მოხდა ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში და რომლებიც განაპირობებს საქართველოს სოციალისტური განვითარების გზამ და ძმურმა თანამშრომლობამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. დღეს, თქვა მან, ისევე როგორც ბევრჯერ წარსულში, ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი სტუმარმოყვარულად, გულთბილად და გულითადად შეეგებება საქართველოს წარმომადგენლებს, საქართველოს რესპუბლიკის, 15-დან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებს, რომლებშიც იქნებება საბჭოთაის ძალა და დიდება, იქმნება მისი მატერიალური სიმდიდრე და სულიერი კულტურა.

რესპუბლიკის იუბილეს დღესასწაული მომდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს. საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ეხოგრობს სკკპ XXIV ყრილობის შთაბეჭდილებით, რომელმაც უდიდესი დამაჯერებლობით უჩვენა მსოფლიოს ჩვენი სანუგეშოების მატერიალური და სულიერი ძალების გიგანტური, განუხრელად მზარდი ძლიერება. პარტიის ყრილობის დირექტივებში დასახულია ჩვენი ქვეყნის სასაღლო ‘ მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები. დირექტივებში მთელი გრანდიოზულობითაა წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უახლოესი წლების ამოცანებიც.

ვ. სირაძემ ილაპარაკა საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან გზაზე და აღნიშნა რესპუბლიკის დიდი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა, საქართველოს მშრომელთა შესანიშნავი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის წლებში.

ქართველი ხალხის ყველა მიღწევა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე, ხაში გაუსვა მან, შესაძლებელი გახდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის, კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და ხალხთა ძმური მეგობრობის მეოხებით. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულ საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ამრავლონ საბჭოთა სახელმწიფოს ძალა და დიდება, გმირული შრომით ხორცი შეასხან პარტიის ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური აღმშენებლობის დიდებულ პროგრამას.

ვ. სირაძემ და დელეგაციის სხვა წევრებმა — პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ნ. ბასსძემ, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა მ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მიქელაძემ, რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. სალარიძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ცქიტიშვილმა უპასუხეს კორესპონდენტთა კითხვებზე.

ჟურნალისტები დიდი ინტერესით ისმენენდნენ ქართველი ხალხის წარმომადგენელთა საუბარს იმ უდიდეს წარმატებებზე, რომლებსაც მიაღწია მან დიდ რუს და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან მჭიდრო ძმური კავშირით.

დასასრულ ი. ართმელაძემ მადლობა გადაუხადა ჟურნალისტებს ყურადღებისა და საბჭოთა საქართველოს მშრომელებისადმი გამოთქმული კეთილი გრძნობებისათვის. პრეს-კონფერენციას დაუკავშირდა საქდისის ფერადი ფოტოსურათების გამოფენის გახსნა, რომელიც ასახავს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

მეგობრობა ურღვევია

ლაბარაკობენ მასპინძლები

მოსკოვი, 19 აპრილი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გრძელდება საქართველოს დღეები, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი.

გულღიად, მეგობრულად მიღო მოსკოვმა საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლები. ნამდვილად ძმური და უანგარო ის გრძნობა, რომელიც წლების განმავლობაში სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება.

საქვეყნოდ განთქმულია რუსული სტუმართმოყვარეობა. ეს ამ დღეებში კიდევ უფრო მეტყველი და გულითადია. როგორც დიდი ხნის უნახავი, ისე ეგებები დედაქალაქი საქართველოს მშრომელთა დელეგაციას, რომელმაც თან ჩამოიტანა ქართული სითბო და სიყვარული ხალხებს შორის.

□

რ. დემენტიევა.
სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი

დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი ემზადებოდა ამ დღეებისათვის, და კიდევ უფრო სახიამოვნოა, რომ მზე და სითბო ჩამოგვიტანეთ თან. ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ საქართველოს მშრომელთა დელეგაციის ჩამოსვლით და ვეგებებით ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მოსკოვში გატარებული ეს რამდენიმე დღე დაუვიწყარი იყოს თქვენთვის. მოხარული ვართ ვიჩვენოთ ქართველ მეგობრებს ყველაფერი, რაც გავაკეთეთ, რახაც მივაღწიეთ. სულ ახლახან დამთავრდა სკკპ XXIV ყრილობა, რომელმაც გრანდიოზული ამოცანები დაგვისახა. ამდენად კიდევ უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი საუბრები.

საქართველოსა და მოსკოვის მშრომელებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. დღეგანდელი მასპინძლები არაერთხელ ვყოფილვართ თქვენი სტუმრები, ჩვენ ვიცით თქვენი სტუმართმოყვარეობა, და ამიტომ ნება მიბრძანეთ იმავე სითბოთი გიპასუხოთ და გისურვოთ ყოველივე კარგი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დედაქალაქში!

□

მ. ოგლოგინი,
პარტიის მოსკოვის ძერჟინსკის სახელოვნის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი

ვინდა მხურვალედ მიეგებოდეს საქართველოს მშრომელებს სახელოვანი დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. ჩვენ ბეჯნიერი ვართ შევხვდეთ საქართველოს წარმომადგენლებს და ვამაყობთ, რომ ეს ჩვენი ძველი პრივილეგიაა.

მოსკოვში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით არაერთი შეხვედრა გვიმართავს ჩვენი რაიონის მშრომელებთან, რაიონის მოწინავე ადამიანებთან, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებთან. დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეხვედრები ჩვენი ურღვევი მეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთი წარუშლელი ფურცელი იქნება.

ა. კოსტენკო,
პარტიის მოსკოვის ბაბუშკინის სახელოვნის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი

რაზე უნდა ისაუბრონ მეგობრებმა? რასაკვირველია, საქმეზე! საქმეები კი მართლაც ბევრი გვაქვს. XXIV ყრილობამ ახალი ამოცანები დაგვისახა. როგორ უნდა დავლიოთ ისინი, რა უნდა გავაკეთოთ? ყოველივე ამაში ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, გავუზიაროთ გამოცდილება, რაც საქართველოში ძალიან დიდია. თქვენი რესპუბლიკა ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია, და გვჯერა, რომ ჩვენი შეხვედრები სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის.

ჩვენი ხალხების მეგობრობა ურღვევია. თქვენს დღესასწაულს აღნიშნავს ყველა საბჭოთა ხალხი. ეს მათი შეიმენიკ არის. ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი ზეიმი.

შ. ჭავჭანიძე,
მოსკოვის ხელსაწყოთა ქარხნის დირექტორი

მე, რასაკვირველია, დიდ მეღლეარებას განვიცდი ჩემს თანამემამულეებთან შეხვედრისას, და ეს ბუნებრივიც არის, მით უმეტეს ახლა, როცა საუბილეო ზეიმის დღეებში საქართველოს წარმომადგენლები ჩვენი ქარხნის სტუმრებიც იქნებიან.

ელექტრონული მრიწველობის მოსკოვის ხელსაწყოთა ქარხანა ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო ობიექტია ძერჟინსკის რაიონში. უკვე მეორე წელია გორდომაველ წითელ დროშას ვფლობთ. ალბათ ამიტომაც, როგორც მოწინავე კოლექტივს, ქარხანა „კალბრთანთ“ ერთად წილად გვხვდა ბედნიერება გეგმასპინძლნა საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლებისათვის.

გარდამავალი წითელი დროშები — გამარჯვებულებს

ბათუმი, 19 აპრილი. (საქდისი). აჭარელმა მშრომელებმა საგრძნობი წვლილი შეიტანეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის, სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსშესანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. მათი ნაყოფიერი შრომა სანატრელ ყოლდოებით აღინიშნა. ამ დღეებში გაიმართა ყოლდოების გადაცემა.

მეჩიაღობაში მიღწეული წარმატებებისათვის ხელვაჩაურის რაიონს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ამავე რაიონს სახელმწიფო სახოვრის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

გაიმართა ხელვაჩაურის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება. კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თხილაშვილი, რომელმაც ხელვაჩაურელებს გულთბილად მიულოცა საპატიო ყოლდოები და ორივე დროშა გადასცა რაიონს.

გამოვიდნენ პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი ა. ძნელაძე, სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ქანიძე, სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ეერძაძე და სხვები, რომლებმაც მადლობა გადაიხადეს ხელვაჩაურელთა შრომის მაღალი შეფასებისათვის და მათი სახელით პირობა დაღეს, რომ პირნათლად შეასრულებენ ყველა დავალებას.

ქედის რაიონს, რომელმაც შარშან წარმატებანი მოიპოვა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში, გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

გაიმართა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების კრება. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რაიონს და მეცხოველეებს უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში.

ფეთაგაკოლოგაში მიღწეული წარმატებებისათვის ხულოს რაიონს მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

გარდამავალი წითელი დროშა ხულოელ მეთამბაქოეებს გადასცა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლ. უკლებამ.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა მ. რიაზს

19 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. რიაზი, რომელიც მოსკოვში იმყოფება როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი.

გაიმართა მეგობრული გულთბილი საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის, ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ყველა დებულების შესრულების საფუძველზე ამ რაიონში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლის საკითხები.

აღინიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციული პოლიტიკა მოწესრიგების საკითხებში ქმნის ხელშემწყობ პირობებს, რათა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი გადაიჭრას სამართლიან საფუძველზე და დამყარდეს მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, რასაც გაუუბრელად მოითხოვს საბჭოთა ქვეყანა.

მ. რიაზმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხსა და მთავრობას ყოველმხრივი ღონისძიებისა და მხარდაჭერისათვის, რასაც უწევენ არაბ ხალხებს ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლაში. (საქდისი).

მიფრინავს ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტი“

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1971 წლის 19 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტი“.

სადგური გაყვანილია ორბიტაზე, რომელიც უახლოდება გაანგარიშებულს. მისი პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 222 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 200 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 88,5 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

სადგურის გაშვების მიზანია კონსტრუქციის ელემენტებისა და ბორტის სისტემების დამუშავება, მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტების განხორციელება კოსმოსური ფრენის დროს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის ბორტის სისტემები, აგრეგატები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობენ. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

შრომის მართვის ცენტრი, 19 აპრილი. (საქდისი). საქდისის კორესპონდენტს აცნობეს, რომ სამეცნიერო სადგური „სალუტი“ მიფრინავს პროგრამის შესაბამისად. გაანგარიშებულ დროს მოეწყო ორბიტის კორექტირება.

18 საათისათვის მოსკოვის დროით სადგურმა ცხრაჯერ შემოუფრინა დედამიწას. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სამორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობენ. ფრენას უთვალთვალებენ და სადგურს მართავენ ხაზობი პუნქტები, რომლებიც განლაგებულია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხომალდებზე „მორეოგრაფზე“, „ეკოსტროფზე“ და „აკადემიკოს სერგეი კოროლიოვზე“, რომლებიც ატლანტის ოკეანეში აკვატორიაში იმყოფებიან.

მიფრინავს „მეტეორი“

1971 წლის 17 აპრილს საბჭოთა კავშირში გაშვებულია დედამიწის მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორი“. თანამგზავრის გაშვების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოს მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიღება, რომელიც საჭიროა ამინდის ოპერატიულ სამსახურში გამოყენებისათვის.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 646 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 620 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 81,2 გრადუსი;

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 97,2 წუთი.

თანამგზავრზე დადგმული მეტეოროლოგიური აპარატურა უზრუნველყოფს დედამიწის სფეროს დღისა და ღამის მხარეებზე ღრუბლიანობის, თოვლის საფარის, ზამოსახულების მიღებას, აგრეთვე დედამიწისა და ატმოსფეროს მიერ არეკლილი და გამოსხივებული თბოენერგიის მონაცემების მიღებას.

მეტეოროლოგიური აპარატურის გარდა, „მეტეორ“ თანამგზავრზე

საქდისის ცნობა

პრემიები — დამპროექტებლებსა და მშენებლებს

მაძიებლებსა და დამპროექტებლებს, მშენებლებსა და მემონტაჟეებს — ყველა იმათ, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიდი ორიგინალური ნაგებობების შექმნაში, ამჟამიდან ყოველწლიურად მიენიჭებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიები. სსრ კავშირის სახმშენისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოსთვის წარდგენილ ნამუშევართა განსახილველად შეიქმნა კომისია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ბოროვოი.

პროექტის წარდგენის შეფასებისას კომისია გაითვალისწინებს არა მარტო ტექნიკურ და არქიტექტურულ გადაწყვეტათა ორიგინალობას, არამედ აგრეთვე ფატრორებს, როგორიცაა ობიექტის თავის დროზე ამოქმედება, მშენებლობის ხარისხი, სანუსხო ღირებულების შემცირება, მუშების შრომის პირობები და შრომის ნაყოფიერება ახალ საწარმოში.

დაწესებულია 60 პრემია.

ბრეჟნევი — ბულგარეთის ელჩთან

ბულგარეთის ელჩი ბ. ბოიანოვი ეწვია ლ. ბრეჟნევს. ბ. ბოიანოვმა ბ. ბ. ბოიანოვის ბულგარეთის ელჩად ინიშნა. ბ. ბ. ბოიანოვ ბ. ბ. ბ.

მსოფლიო დღეს

ბერლინი — საქმიან ვითარებაში

19 აპრილი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების კონფერენციები, რომლებიც შემოქმედებითს, საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს. ამ კონფერენციების მუშაობის დაწყებით რესპუბლიკაში დადგა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობისათვის მზადების ახალი ეტაპი.

კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები და სხვა ხელმძღვანელი პარტიული მოღვაწეები.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კონფერენციებზე დელეგატების საანგარიშო მოხსენებები და გამოსვლები მოწმობენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად მოემზადონ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობისათვის. დელეგატების გამოსვლებში დიდი უყურადღება ეთმობა სკკპ XXIV ყრილობის მასალებს, აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას საბჭოთა კოშუნისტების ყრილობის შედეგების შესახებ.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობისათვის მზადების ახალი ეტაპი მიზნად ისახავს ყოველმხრივ განამტკიცოს რესპუბლიკა, სრულყოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივი წყობილება, განავითარონ კოოპერაცია და ეკონომიური ინტეგრაცია სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან.

კრეტა — ერთსულოვნად უჭერენ მხარს

19 აპრილი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო და საქალაქო კონფერენციებმა. ამ კონფერენციებით დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობისათვის – პარტიული ორგანიზაციების მზადების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

მათ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა მოღვაწეებმა.

კონფერენციის მონაწილეებმა გააანალიზეს პარტიულ ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობა და დასახეს სოციალისტური მშენებლობის შემდგომი ამოცანები, დაეყრდნენ რა პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს: „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIII ყრილობის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაგვითლეები“, „რეჩოლუცია. პარტიის ერთიანობის აქტუალური საკითხებზე“, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის დეკემბრის პლენუმმა მიიღო. ბევრი ყურადღება დაეთმო იმ გადაუდებელი ეკონომიური ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დასახულია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დირექტივების პროგრამში ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

